საქართველო
სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე (სანოტარო ბიურო მდებარე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას #42) მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა–ში, სადაც მომმართა სს "გრინვეი საქართველოს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404867006) დირექტორმა, ვახტანგ ებიტაშვილმა (პირადი ნომერი: 01025003084; დაბადების თარიღი 01.09.1977; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. 29, ბ. 11), რომელმაც თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (მომზადებული: 15/08/2018 წ.) და განაცხადა, რომ მას სურს შეადგინოს რწმუნებულება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **თორნიკე დვალს.**

მე დავადგინე მარწმუნებლის ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა, უფლებამოსილება და რწმუნებულების შინაარსი.

მარწმუნებელმა დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სს "გრინვეი საქართველოს" (რეგისტრირებული: 09/07/2010წ. საიდენტიფიკაციო ნომერი: 404867006, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქ., N6) დირექტორმა, ვახტანგ ებიტაშვილმა (პირადი ნომერი: 01025003084; დაბადების თარიღი 01.09.1977; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. 29, ბ. 11), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც "მარწმუნებელი"

წინამდებარე რწმუნებულებით

შპს „Georgianhouse"-ის (რეგისტრირებული 27/02/2012წ; საიდენტიფიკაციო კოდი: 404931945; იურიდიული მისამართი: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გუჯარეთის I ქუჩა, №34, შემდგომში მოხსენიებული, როგორც - „რწმუნებული") **დირექტორს თორნიკე დვალს** (პ/ნ 01024040140) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. წინამდებარე რწმუნებულების ძალით რწმუნებული უფლებამოსილია:

- წარადგინოს სს „გრინვეი საქართველო"-ს ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის არქიტექტურის, ურბანული განვითარების, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან ურთიერთობაში. წარადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ქობულეთის, ხობის; დუშეთის; ბორჯომის; კასპის; დედოფლისწყაროს; ყვარლის; საჩხერის; ლანჩხუთის; წალკის; ახალქალაქის; ქარელის; ოზურგეთის; ფოთის; სამტრედიის; ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მერიებსა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურებთან ურთიერთობაში.

- „რწმუნებული" „მარწმუნებლისგან" უფლებამოსილია წარადგინოს/ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო განცხადებას, განაცხადს და სხვა ოფიციალურ საბუთს, გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ხელზე შეთანხმებული ნებართვები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები ან/და ქმედებები, შეიტანოს ცვლილებები წარდგენილ დოკუმენტაციაში/ განცხადებაში, „მაწმუნებლის" სახელით ხელი მოაწეროს ზემოთხსენებულ დავალებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციასა და განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე რწმუნებულებაში მოცემული დავალების შესასრულებლად.

2. <u>წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე და ძალაშია 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.</u>

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ოთხი ეგზემპლარი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10.00 (ათი) ლარი, ბიუროს გარეთ სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის 20.00 (ოცი) ლარი, დღგ 5,40 (ხუთი ლარი და 40 თეთრი) ლარი + რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. 1507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31–ე, 34–ე და 39–ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა;

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

04203777728319

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190476462

რეგისტრაციის თარიღი

02.05.2019 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე

მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42

ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18